ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 245

ქალაქი ქუთაისი 8 ნოემბრის 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი დეველოპმენტს“ შორის 2017 წლის 27 იანვარს გაფორმებული № 4 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო პირობის შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 398-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი დეველოპმენტს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №412724155) შორის 2017 წლის 27 იანვარს გაფორმებული №4 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო პირობის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ, საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის 2025 წლის 31 მაისამდე გაგრძელების თაობაზე.

მუხლი 2. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი დეველოპმენტს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412724155) შორის 2017 წლის 27 იანვარს გაფორმებული №4 ნასყიდობის ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 86
9 11 2023 წ.